ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5166697

ნომერი: AR1785040

თარიღი : 29.10.2020

გაცემის თარიღი : 29.10.2020

გაცნობის თარიღი : 30.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი კახაბრიშვილი პ/ნ 01024065351
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 14, ბინა 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 მაისის №4948153 და 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 29 ოქტომბერს №AR1785040 განცხადებით მომართა გივი კახაბრიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 08 მაისის №4948153 და 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 08 მაისის №4948153 ბრძანებით ქალაქი თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006), ქალაქი თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ, №01.19.21.003.134 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის და რესტორნის (25%-ზე ნაკლები) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.21.003.134) შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის და რესტორნის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 ივლისიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2020 წლის 08 მაისის №4948153 და 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს მათ ძალადაკარგულად გამოცხადებას. წინამდებარე განცხადებაზე, წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882020531626, მომზადების თარიღი: 14/08/2020 წ.) თანახმად, ქალაქი თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006), ქალაქი თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებული №01.19.21.003.134 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს “დემასი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: №200066221). მეწარმეთა და არასამეწრამეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს “დემასი”-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მალხაზ საბაძე და დევანოზ ინასარიძე. შპს “დემასი”-ს 2020 წლის 12 ოქტომბრის წესდების მე-4 მუხლის მიხედვით, დირექტორები საზოგადოების სახელით მოქმედებენ დამოუკიდებლად და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ ცალ-ცალკე. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს “დემასი”-ს დირექტორის მალხაზ საბაძის მიერ - განმცხადებლის გივი კახაბრიშვილის სახელზე გაცემული 2020 წლის 19 აგვისტოს მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი: №200572594), რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს გივი კახაბრიშვილის 2020 წლის 29 ოქტომბრის №AR1785040 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 მაისის №4948153 და 2020 წლის 31 ივლისის №5046892 ბრძანებები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.